ხელშეკრულება №-~~4~~ 1/04-16

(საკანცელარიო საქონლის შესყიდვის შესახებ)

ქ. თბილისი 29 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ერედვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ცხინვალის "ლიახვი" (შემდგომში – "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ყაულაშვილის (საიდენტიფიკაციო კოდი: 404477133) სახით და მეორეს მხრივ **შპს "განათლება"** (საიდენტიფიკაციო კოდი: 417874376) წარმოდგენილი მისი დირექტორის კ. აკოლაშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისთვის" საჭირო საკანცელარიო საქონლის მიწოდება (ელექტრონული სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის თანდართვით).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: საკანცელარიო საქონელი

- ბაინდერი – 20 ცალი (CPV კოდი: 30192700);
- ფაილი – 3 შეკვრა (CPV კოდი: 30192700));
- წებოვანი ქაღალდი – 1 ცალი (CPV კოდი: 30192700));
- კორექტორი – 1 ცალი (CPV კოდი: 30192700));
- კალამი – 8 ცალი (CPV კოდი: 30192700));
- სკრეპი – 2 ცალი (CPV კოდი: 30192700));
- მაკრატელი – 1 ცალი (CPV კოდი: 30192700));
- სტეპლერი – 1 ცალი (CPV კოდი: 30192700));
- სტეპლერის ტყვია – 1 ცალი (CPV კოდი: 30192700));
- მარკერი – 2 ცალი (CPV კოდი: 30192700)).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 93.74 (ოთხმოცდაცამეტი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი) ლარს, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახედების გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება " მიმწოდებელთან" ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 29 აგვისტოსი.

5.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (არაუგვიანეს 2016 წლის 22 მარტისა) უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის" (ელექტრონული სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის სახით).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის "მიმწოდებლის" სბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს: -- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებით.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:- მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3 უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.4 "მიმწოდებელს" უფლება აქვს: - მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.5 "მიმწოდებელი" ვალდებულია: მიაწოდოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტი ეტაპოვრივად, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

8.6 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შსაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუზლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია სამი კალენდარული თვის ვადით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრუელბის პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია. თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულებების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილებრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს "შემსყიდველი" ორგანიზაციის დირექტორი ან შესაბამისი მინდობილობით უფლებამოსილი პირი.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს "მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაყრელ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრუელბა შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
ერედვის მუნიციპალიტეტის	შპს "განათლება"
საფეხბურთო კლუბი ცხინვალის "ლიახვი"	მის: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №27
მის: ქ. თბილის, დ. აღმაშენებლის გამზ. №89/24	ბანკი: *ს.ს. "საქართველოს ბანკი"*
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	*ბ/კ: BAGAGE22*
ს/კ: 404477133	ა.ა GE27BG00 0000 0550 9611 00
ბ/კ: TRESGE22	*ს/კ: 417874376*
ზ. ყაულაშვილი	კ. აკოლაშვილი